სსიპ კოლეჯი „აისი“

კურსდამთავრებულთა კვლევა

კვლევის განმახორციელებელი:

სსიპ კოლეჯი „აისი“

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახური

2021 წელი

შინაარსი

შესავალი 3

კვლევის მიზნები 3

კვლევის ამოცანები 3

კვლევის
მეთოდოლოგია.....4

კვლევის ტექნიკური
მხარე.....5

კვლევის სამიზნე
ჯგუფი 5

კვლევის შედეგები 6

პროფესიებზე დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი 8

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კოლეჯ „აისის“ თითოეულ
ფილიალში 17

კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან
დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის შეფასება 19

დასკვნა.....29

შესავალი

კურსდამთავრებულთა კვლევა საუკეთესო საშუალებაა სწავლების გრძელვადიანი შედეგების გაზომვის, შეფასებისა და აღწერისთვის. კვლევა გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, სტაჟირება, უმუშევრობა). შეგროვებული მონაცემები მოიცავს როგორც კურსდამთავრებულთა შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას, ასევე მათ აღქმებს და შეფასებებს.

ანგარიშში მოცემულია კვლევის მონაცემები ცხრილებისა და გრაფიკების სახით. ცხრილებსა და გრაფიკებს თან ერთვის მონაცემთა ტექსტური ანალიზი.

კვლევის მიზნები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევას გააჩნია ორი მთავარი მიზანი:

- შესწავლილი იქნას სწავლის დასრულების შემდგომ კოლეჯ „აისის“ 2021 წლის კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობა.
- შესწავლილ იქნას, როგორ აფასებენ კურსდამთავრებულები კოლეჯის მიერ მათთვის გაწეულ მომსახურებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში;

კვლევა გამოავლენს, რამდენი კურსდამთავრებული დასაქმდა პროფესიით, რამდენია თვითდასაქმებული და რამდენი მუშაობს არასპეციალობით. ასევე, რამდენმა გააგრძელა სწავლა სხვა პროფესიაზე, რამდენი არის სამსახურის გარეშე და რა არის მათი უმუშევრობის მთავარი მიზეზი.

კვლევის ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს განვიხილოთ, რა შეიძლება გაკეთდეს სამომავლოდ, რომ კოლეჯ „აისის“ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი გაიზარდოს.

კვლევის ამოცანები

კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიცაა:

1. პროფესიულ სასწავლებელთან ურთიერთობის გზების შეფასება;

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
3. პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეფასება;
4. კოლეჯის ადამიანური რესურსის შეფასება;
5. კოლეჯის მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურით კმაყოფილების შეფასება;
6. კურსდამთავრებულთა სწავლის დასრულების შემდგომ საქმიანობასთან დაკავშირებით (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება/სწავლის გაგრძელება და სწავლის დასრულების შემდგომი სხვა საქმიანობა) ინფორმაციის შეგროვება;
7. დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება;
8. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი;
9. იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც კურსდამთავრებულს დაეხმარა ან რომლებმაც ხელი შეუშალა ცვლილებების განხორციელებაში;
10. კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება;
11. პროფორიენტაციის შედეგი კურსდამთავრებულის მომავალი საქმიანობის განსაზღვრაში;

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა კოლეჯ „აისში“ და გამოყენებული იქნა მისი რესურსები. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის, კერძოდ სატელეფონო ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით.

გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შედგენილი სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით, რომელმაც მოგვცა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვების, გაზომვისა და ანალიზის შესაძლებლობა.

ინტერვიუ შედგებოდა დახურული და ღია კითხვებისაგან. თითოეულ კითხვაზე რესპოდენტს უნდა გაეცა მხოლოდ ერთი პასუხი, თუმცა ზოგიერთ კითხვაზე დასაშვები იყო რამდენიმე პასუხის გაცემა. ინტერვიუს ხანგძლივობა შეადგენდა 20-დან 25 წუთს.

რესპოდენტს უნდა დაესახელებინა დასაქმების ობიექტი, საკუთარი პოზიცია დასაქმების ადგილზე, საშუალო თვიური ანაზღაურება და უმუშევრობის შემთხვევაში მიზეზი, თუ რატომ არ არის დასაქმებული. კითხვარში ასევე, შეტანილი იყო პროფესიულ განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტების შეფასება და კოლეჯში მიღებული ცოდნის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

კვლევის ტექნიკური მხარე

კვლევა განხორციელდა სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ორგანიზებით და კოლეჯ „აისის“ ფილიალების სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერების აქტიური მხარდაჭერით.

2021 წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა დაიწყო 1 დეკემბერს და გაგრძელდა 30 დეკემბრის ჩათვლით. დასაწყისში მომზადდა სამიზნე ჯგუფების სია. კონკრეტულად, 2021 წლის კურსდამთავრებულთა სია.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო კვლევის ობიექტების გარკვეულმა რაოდენობამ, რომელიც განისაზღვრა 2021 წლის იმ კურსდამთავრებულთა რიცხვით, რომელთაც მიიღეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფი განისაზღვრა კოლეჯ „აისში“ 2018 წლიდან 2020 წლის ჩათვლით სხვადასხვა პროფესიებზე ჩარიცხული იმ პირებით, რომლებმაც 2021 წელს დაასრულეს სწავლა.

2021 წელს სულ გამოშვებული იქნა 386 კურსდამთავრებული, რომელთაგან 336 კურსდამთავრებულმა აიღო დიპლომი, ხოლო 50-ს არ მიენიჭა კვალიფიკაცია და დიპლომის ნაცვლად ისინი მიიღებენ კოლეჯში სწავლის დამადასტურებელ ცნობას.

საბოლოოდ, კვლევაში მონაწილეობა მიიღო სსიპ კოლეჯ „აისის“ კაჭრეთის და მისი სამი ფილიალის (დედოფლისწყარო, ალვანი და ლაგოდეხი) 336-მა კურსდამთავრებულმა.

1. კაჭრეთი - 117 რესპოდენტი
2. დედოფლისწყაროს ფილიალი - 74 რესპოდენტი
3. ლაგოდეხის ფილიალი - 62 რესპოდენტი
4. ალვანის ფილიალი - 83 რესპოდენტი.

კვლევის შედეგები

კვლევის თანახმად გაირკვა, რომ კოლეჯ „აისისა“ და მისი ფილიალების 336 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 225, ანუ 67%, 38 კურსდამთავრებული ანუ გამოკითხულთა 11% კვლავ აგრძელებს სწავლას პროფესიულ კოლეჯში ან უმაღლეს სასწავლებელში სხვა პროფესიის მიღების ან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. და მხოლოდ 73 კურსდამთავრებული ანუ 22% არის უმუშევარი.



კოლეჯ „აისის“ 2021 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების 67% სწორედ ის პროცენტული მაჩვენებელია, რაც დაფიქსირდა კოლეჯ „აისში“ გასულ 2020 წელს, როცა ქვეყანაში COVID-19-ით გამოწვეული პანდემიამ ძალიან ბევრი სფერო დააზარალა და შესაბამისად სამსახურების გაჩერება გამოიწვია. აღნიშნულმა ფაქტმა გასულ წელს წინა წლებთან შედარებით, თავისთავად შეამცირა დასაქმებულთა რაოდენობა. თუმცა, წელს კოლეჯ „აისში“ კურსდამთავრებულთა დასაქმების გასული წლის პროცენტული მაჩვენებელი შენარჩუნდა.

რაც შეეხება, დასაქმების ფორმას, 225 დასაქმებული კურსდამთავრებულიდან 120 ანუ 57% არის დაქირავებული და მუშაობს სხვადასხვა ორგანიზაციებში, ხოლო 105 ანუ 47% არის თვითდასაქმებული. აღსანიშნავია, რომ გასულ წელთან შედარებით თვითდასაქმებულთა პროცენტული რაოდენობა ოდნავ არის გაზრდილი.



2021 წელს კოლეჯ „აისსა“ და მის ფილიალებში სულ 18 სხვადასხვა პროფესიის 33 ჯგუფმა დაასრულა სწავლა. პროფესიების მიხედვით 336 კურსდამთავრებულის დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:



პროფესიებზე დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი

მევენახეობა-მეღვინეობის მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული 17 სტუდენტიდან სამ კურსდამთავრებულს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. შესაბამისად, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 14-მა კურსდამთავრებულმა, რომელთაგან 13 ანუ კურსდამთავრებულთა 93% დასაქმებულია, ერთი (7%) უმუშევარია ოჯახური მდგომარეობის გამო. 13 დასაქმებული კურსდამთავრებულიდან 10 დაქირავებულია და კომპანიაში მუშაობს, სამს საკუთარი მეურნეობა აქვს და შესაბამისად თვითდასაქმებულია.



ისევე, როგორც გასულ წელს, 2021 წელსაც დასაქმების 100%-იანი მაჩვენებელია მევენახეობა-მეღვინეობის დუალური პროგრამის კურსდამთავრებულებთან. სადაც კოლეჯ „აისში“ 2018 წლის საშემოდგომო მიღებაზე ჩაირიცხა 11 სტუდენტი, სამ მათგანს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, ერთი არ გამოცხადდა საკვალიფიკაციო გამოცდაზე. შესაბამისად სწავლა დაასრულა შვიდმა სტუდენტმა. ექვსი კურსდამთავრებული დასაქმებულია პროფესიით და მათგან უმრავლესობა მუშაობს იმავე კომპანიაში, სადაც მიმდინარეობდა მათი პრაქტიკული სწავლების პროცესი. ერთი კურსდამთავრებული თვითდასაქმებულია.

2021 წელს კიდევ ერთმა დუალური პროგრამის ჯგუფმა დაასრულა სწავლა, სადაც დასაქმების 100%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ალვანის ფილიალის მეთევზეობის (ფერმერობა მეთევზეობაში) პროგრამაზე დასაწყისში, 2018 წლის შემოდგომაზე ჩარიცხული იყო 8 სტუდენტი, მათგან ერთს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, ერთს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. გამოიკითხა ექვსი კურსდამთავრებული. მათგან ყველა დასაქმებულია იმ კომპანიაში, სადაც მიმდინარეობდა მათი პრაქტიკული სწავლების პროცესი.

სატყეო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ლაგოდეხის ფილიალში ჩარიცხული იყო 15 სტუდენტი, სტატუსი შეუწყდა ერთ სტუდენტს, გამოიკითხა 14 კურსდამთავრებული, რომელთაგან დასაქმებულია 10 ანუ 71%. უმუშევარია 4 ანუ კურსდამთავრებულთა 29%. დასაქმებულთაგან 9 დაქირავებულია, ერთი თვითდასაქმებული.



მეფუტკრეობის სპეციალობის ორ ჯგუფში დასაწყისში ჩარიცხული იყო 20 სტუდენტი. მათგან 4-ს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. შესაბამისად, გამოიკითხა 16 კურსდამთავრებული, რომელთაგან 12 ანუ 75% დასაქმებულია, 3 ანუ 19% არ მუშაობს, ერთმა (6%) სწავლა გააგრძელა სხვა პროფესიაზე. მეფუტკრეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გამოიყურება შემდეგნაირად:



ელექტროობის სპეციალობაზე კაჭრეთსა და დედოფლისწყაროს ფილიალში სულ 2 ჯგუფში ჩარიცხული იყო 33 სტუდენტი, ერთს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, 4-ს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 28 კურსდამთავრებულმა, რომელთაგან 21 ანუ 75% დასაქმებულია, 6 ანუ 21% არ მუშაობს, ერთმა ანუ 4%-მა სწავლა განაგრძო სხვა სპეციალობაზე. 21 დასაქმებულიდან 16 დაქირავებულია, 5 თვითდასაქმებული. დასაქმებულ კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებლი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ორ ჯგუფში დასაწყისში ჩარიცხული იყო 30 სტუდენტი, მათგან სტუდენტის სტატუსი შეუწყდა 12-ს, ორს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, ერთს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 15-მა კურსდამთავრებულმა, მათგან დასაქმებულია 8 ანუ 53%, ხუთმა ანუ 33%-მა სწავლა გააგრძელა კომპიტერული ქსელისა და სისტემების ინტეგრირებულ პროგრამაზე. ორი კურსდამთავრებული კი რომელიც შეადგენს 14%-ს, უმუშევარია. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად გამოიყურება შემდეგნაირად:



მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების პროგრამაზე დასაწყისში ჩაირიცხა 13 სტუდენტი, ოთხს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, ერთს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო რვა კურსდამთავრებულმა, რომელთაგან ექვსი ანუ 75% მუშაობს, ერთი (12%) უმუშევარია, ერთმა (13%) გააგრძელა სწავლა სხვა პროფესიაზე. ექვსი დასაქმებულიდან 3 კურსდამთავრებული მუშაობს ავტოსახელოსნოში, 3 თვითდასაქმებულია. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გამოიყურება შემდეგნაირად:



იატაკისა და ფილის სამუშაოების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ლაგოდეხის ფილიალში 2019 წლის შემოდგომაზე ჩარიცხული 14 სტუდენტიდან ორს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. 12 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 10 ანუ 83%, ორი კურსდამთავრებული, რაც შეადგენს 17%-ს, უმუშევარია. დასაქმებული 10 კურსდამთავრებულიდან ერთი მუშაობს სამშენებლო კომპანიაში, დანარჩენი 9 არის თვითდასაქმებული.



თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ლაგოდეხის ფილიალში 2020 წელს ორ ჯგუფში ჩარიცხული 22 სტუდენტიდან ყველამ დაასრულა სწავლა. დასაქმებულია 18 კურსდამთავრებული, ანუ 82%, ორმა (9%) გააგრძელა სწავლა სხვა პროფესიაზე, ორი კურსდამთავრებული ანუ 9% არის უმუშევარი. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



ქვის სამუშაოების წარმოების სპეციალობაზე დედოფლისწყაროს ფილიალის ორ ჯგუფში დასაწყისში ჩარიცხული 30 სტუდენტიდან სწავლა დაასრულა ყველამ. მათგან 17 კურსდამთავრებული, ანუ 57% არის დასაქმებული, 10 ანუ 38% უმუშევარია, ხოლო სამმა (1%) სწავლა გააგრძელა სხვა პროფესიაზე. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



თმისა და სილამაზის მომსახურების პროგრამაზე ექვს ჯგუფში (კაჭრეთში დედოფლისწყაროსა და ალვანის ფილიალებში 2-2 ჯგუფები) დასაწყისში სულ ჩარიცხული იყო 79 სტუდენტი. მათგან 7-ს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, ერთს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, ხოლო 15-ს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. გამოკითხა 56 კურსდამთავრებული. მათგან 30 ანუ კურსდამთავრებულთა 53% დასაქმებულია, 16 ანუ 28% უმუშევარია, 10-მა (18%) სწავლა გააგრძელა სხვა პროფესიაზე. დასაქმებული 30 კურსდამთავრებულიდან 19 დაქირავებულია, 11 თვითდასაქმებული. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



თექის ოსტატის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ალვანის და დედოფლისწყაროს ფილიალების ორ ჯგუფში დასაწყისში ჩარიცხული იყო 27 სტუდენტი. მათგან 2-ს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, 4-ს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. გამოკითხული 21 კურსდამთავრებულიდან 15 ანუ 71% დასაქმებულია, 5 ანუ 24% არ მუშაობს და ერთმა (5%) სწავლა გააგრძელა სხვა პროფესიაზე. 15 დასაქმებულიდან 9 დაქირავებულია, 6 თვითდასაქმებული. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



მხატვრული ქსოვილების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ალვანის ფილიალში ჩარიცხული 13 სტუდენტიდან ერთს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, ორს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. გამოკითხული 10 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 8 ანუ 80%. ორი კურსდამთავრებული, რომელიც შეადგენს 20%-ს, უმუშევარია ოჯახური მდგომარეობის გამო. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



მომინანქრების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ორ ჯგუფში ალვანის ფილიალში დასაწყისში ჩარიცხული იყო 28 სტუდენტი. მათგან ორს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. გამოკითხული 26 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 15 ანუ 58%, არ მუშაობს 3 ანუ 11% და სხვა პროფესიაზე სწავლა გააგრძელა 8 კურსდამთავრებულმა, რაც შეადგენს 11%-ს. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის სპეციალობაზე კაჭრეთის, ალვანის და ლაგოდეხის ფილიალების 4 ჯგუფში ჩარიცხული 39 სტუდენტიდან, სტუდენტის სტატუსი შეუწყდა 3-ს, ერთი გადავიდა მობილობით, სამს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 32-მა კურსდამთავრებულმა. მათგან 17 ანუ 53% მუშაობს, 12 (38%) უმუშევარია, სამმა სწავლა განაგრძო სხვა პროფესიაზე. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



ტუროპერატორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული 9 სტუდენტიდან სწავლა დაასრულა ყველამ, თუმცა სამს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. გამოკითხული 6 კურსდამთავრებულიდან სამი დასაქმებულია, სამი არ მუშაობს. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი არის 50X50-ზე. დასაქმებულთაგან 2 დაქირავებულია, ერთი თვითდასაქმებული.



საოფისე საქმის სპეციალობაზე ლაგოდეხის ფილიალში დასაწყისში ჩაირიცხა 17 სტუდენტი, მათგან ორს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, ორს კი არ მიენიჭა კვალიფიკაცია. გამოკითხული 13 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 9 ანუ 69%, ოჯახური მდგომარეობის გამო უმუშევარია 4 ანუ 31%. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



რაც შეეხება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, კოლეჯ „აისში“ 2021 წელს სწავლა უნდა დაესრულებინა 19 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, თუმცა მათგან 2-ს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, 4-ს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. გამოიკითხა 13 კურსდამთავრებული, რომელთაგან 7-მა სწავლა გააგრძელა სხვა სპეციალობაზე, სამი დასაქმებულია და სამი არ მუშაობს. მათი უმუშევრობის მიზეზი ნაწილობრივ ჯანმრთელობის პრობლემებია, ნაწილობრივ ოჯახური მდგომარეობა. სსსმ პირების დასაქმებლის მაჩვენებელი პროცენტულად შემდეგნაირად გამოიყურება:



კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლი კოლეჯ „აისის“ თითოეულ ფილიალში

კოლეჯ „აისის“ კაჭრეთის ლოკაციაზე 2021 წელს გამოშვებული ჯგუფებიდან სწავლა დაასრულა და პროფესიის შესაბამისი კვალიფიკაცია მიიღო 117-მა პირმა. შესაბამისად, გამოიკითხა 117 კურსდამთავრებული, მათგან 81 ანუ 69% დასაქმებულია, 19 ანუ კურსდამთვრებულთა 16% არ მუშაობს ოჯახური მდგომარეობის გამო ან ელოდება უკეთეს შეთავაზებას, ხოლო 17-მა (15%) სწავლა გააგრძელა სხვა პროფესიაზე.



დედოფლისწყაროს ფილიალში სწავლა დაასრულა და პროფესიის შესაბამისი კვალიფიკაცია მიენიჭა 74 სტუდენტს. გამოიკითხვაში მონაწილეობა მიიღო სწორედ ამ 74-მა კურსდამთავრებულმა, რომელთაგან დასაქმებულია 51 ანუ 69%, არ მუშაობს 18 ანუ 24%, ხოლო სწავლა სხვა პროფესიაზე გააგრძელა 5-მა (7%) კურსდამთავრებულმა.



ლაგოდეხის ფილიალში გამოიკითხა 62 კურსდამთავრებული. მათგან დასაქმებულია 44 ანუ 71%, არ მუშაობს 16 ანუ 26% და სხვა პროფესიაზე სწავლა გააგრძელა ორმა (3%) კურსდამთავრებულმა. ლაგოდეხის ფილიალის დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად გამოიყურება შემდეგნაირად:



ალვანის ფილიალის გამოშვებული ჯგუფებიდან სწავლა დაასრულა და პროფესიის შესაბამისი კვალიფიკაცია მიიღო 83-მა სტუდენტმა. გამოიკითხვაში მონაწილეობდა სწორედ ეს 83 კურსდამთავრებული. მათგან 49 ანუ კურსდამტავრებულთა 59% დასაქმებულია, 20 ანუ 24% არ მუშაობს, 14 ანუ 17% სწავლობს სხვა პროფესიაზე. ალვანის ფილიალის დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად გამოიყურება შემდეგნაირად:



კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის შეფასება

გამოკითხვის დროს საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ ძირითადად საიდან იღებს პიროვნება ინფორმაციას პროფესიულ საგანმანაღლებლო პროგრამის შესახებ. ინფორმაციის გადაცემის რომელი გზაა უფრო ხელმისაწვდომი და ეფექტური საზოგადოების ინფორმირებისთვის. აღნიშნულ კითხვაზე პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად:



აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო არის ინტერნეტი, საიდანაც თითქმის ნახევარი ანუ 50% მოდის კოლეჯის ფეისბუქის გვერდზე, 12% კი ნაწილდება კოლეჯის ვებ გვერდსა (4%) და პროფესიული განათლების სხვადასხვა პორტალებზე (8%). 5% მოდის ტელევიზიებზე, რაც გვაძლევს დასკვნის საფუძველს, რომ ახალგაზრდებისთვის ინფორმაციების ძიება ინტერნეტის საშუალებით უფრო მოსახერხებელია. კურსდამთავრებულთა 13%-მა აღნიშნა, რომ ინფორმაცია კოლეჯის შესახებ მიიღეს მეგობრებისგან, რომლებიც სწავლობდნენ ან უკვე დამთავრებული ქონდათ სწავლა კოლეჯ „აისში“. 8%-მა აღნიშნა, რომ კოლეჯის თანამშრომლებისგან მიიღეს ინფორმაცია პროფესიების შესახებ. 7%-მა აღნიშნა, რომ პროგრამების შესახებ ინფორმაცია კოლეჯში ვიზიტის დროს მიიღო. ასევე 5%-მა აღნიშნა, რომ ინფორმაცია კოლეჯის შესახებ მიიღო სარეკლამო ბუკლეტებიდან, რომლებიც გადასცეს სკოლის წარმომადგენლებმა.

კითხვაზე, კოლეჯში ჩარიცხვის წინ მიიღეს თუ არა საპროფორიენტაციო კონსულტაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების, კოლეჯში ჩარიცხვისა და სწავლის შესახებ, 68%-მა უპასუხა, რომ მიიღო სრულყოფილი ინფორმაცია, 10%-მა აღნიშნა, რომ ნაწილობრივ უკვე ქონდა იფორმაცია და შესაბამისად არ საჭიროებდა კონსულტაციას, 18%-მა განაცხადა, რომ მათ ინფორმაცია მოიძიეს ინტერნეტის საშუალებით, გაიარეს ონლაინ რეგისტრაცია პორტალზე www.vet.emis.ge -ზე და საბუთების შემოტანამდე არ ქონიათ კომუნიკაცია კოლეჯის წარმომადგენელთან.



რაც შეეხება კითხვას, რა მოლოდინი ქონდათ სასწავლო პროცესის დაწყებამდე, კურსდამთავრებულთა 28%-მა უპასუხა, რომ გახდებოდა საკუთარი საქმის პროფესიონალი, 22% ფიქრობდა, რომ მიიღებდა პროფესიულ თეორიულ ცოდნას, 18% ფიქრობდა პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესახებ, 4%-ს აინტერესებდა მომავალ კოლეგებთან შეხვედრა და სამუშაო გამოცდილების გაზიარება, 15%-მა განაცხადა, რომ ამ ყველაფრის პარალელურად გაიგებდა, სამომავლოდ სად შეძლებდა პროფესიით დასაქმებას და 13 % ფიქრობს, რომ ეს დაეხმარებოდა დასაქმებაში.



კითხვაზე, გაამართლა თუ არა კოლეჯის კურსდამთავრებულთა მოლოდინები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამამ, 71%-მა უპასუხა, რომ მთლიანად გაამართლა, 22%-მა უპასუხა, რომ ნაწილობრივ გაამართლა და მხოლოდ 7%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.



ახლა რომ აბარებდეთ, აირჩევდით თუ არა, იგივე პროფესიას? ამ კითხვაზე კურსდამთავრებულთ უმრავლესობამ ანუ 92%-მა უპასუხა, რომ იგივე პროფესიას აირჩევდა, 8%-მა უპასუხა, რომ ვინაიდან სხვა პროფესიაც აინტერესებთ, შესაძლოა, გადაწყვეტლება შეეცვალათ ან მომავალში დამატებით მიიღონ განათლება სხვა პროფესიაში.



რაც შეეხება თავად კოლეჯს, ხელმეორედ ჩაბარების შემთხვევაში იგივე კოლეჯზე გააკეთებდნენ თუ არა არჩევანს, გამოკითხულთა თითქმის 100%-მა უპასუხა, რომ კოლეჯში ყველანაირი პირობაა შექმნილი პროფესიის ხარისხიანად დაუფლებისთვის და მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩააბარებდა სხვა კოლეჯში, თუ ისეთი პროფესიის შესწავლას გადაწყვეტდა, რომელსაც კოლეჯი „აისი“ არ ახორციელებს.

როგორ შეაფასებდით პროგრამის ფარგლებში სწავლების ხარისხს, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან მიმართებაში? კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ სწავლების ხარისხი დადებითად შეაფასა. პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან კარგი - 67%, კარგი - 24%, დამაკმაყოფილებელი - 7%, პასუხის გაცემა გაუჭირდა 2%-ს.



როგორ შეაფასებდით კოლეჯში არსებულ შეფასების სისტემას? კურსდამთავრებულთა 81%-მა უპასუხა, რომ შეფასების სისტემა ობიექტურია, 11%-მა უპასუხა, რომ მეტ-ნაკლებად ობიექტურია, ხოლო 8%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.



სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა კურსდამთავრებულებმა შემდეგნაირად შეაფასეს: 86% ძალიან კარგი, 10% კარგი, 2% დამაკმაყოფილებელი და 2%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. აღსანიშნავია, რომ უარყოფითი პასუხი არცერთ კურსდამთავრებულს არ დაუფიქსირებია.



კითხვაზე, დაცული იყო თუ არა, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს უსაფრთხოების ნორმები, გამოკითხულთა 100%-მა გასცა დადებითი პასუხი.

როგორ შეაფასებდით პროგრამის ფარგლებში სწავლების ხარისხს დუალური პროგრამის ფარგლებში პარტნიორ კომპანიაში? აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი გასცა დუალური პროგრამის 13-მა კურსდამთავრებულმა და მათგან 69%-მა განაცხადა, რომ პარტნიორ კომპანიაში პრაქტიკული სწავლების ხარისხი იყო ძალიან კარგი, 23%-მა თქვა, რომ სწავლის ხარისხი იყო კარგი, ხოლო 8%-მა დამაკმაყოფილებლად შეაფასა.



როგორ შეაფასებდით პროგრამის ფარგლებში გავლილ საწარმოო პრაქტიკას? ამ კითხვაზე პასუხი გასცეს მხოლოდ იმ ხუთი პროგრამის კურსდამთავრებულებმა, რომლებმაც გაიარეს საწარმოო პრაქტიკა: თმისა და სილამაზის მომსახურება, სატყეო საქმე, საოფისე საქმე, ტუროპერატორი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი. სულ გამოიკითხა 83 კურსდამთავრებული და მათგან 93%-მა (ძალიან კარგი-75%, კარგი-18%) დადებითად შეაფასა პრაქტიკის ობიექტი, 3%-მა დამაკმაყოფილებლად, ხოლო 4%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.



კოლეჯში დაცული იყო თუ არა თქვენი კანონიერი ინტერესები და გიწევდათ თუ არა ადმინისტრაცია გონივრულ ვადაში ადმინისტრაციულ მხარდაჭერას? ამ კითხვებზე გამოკითხულთა 100%-მა დადებითი პასუხი გასცა.

უზრუნველყოფილი იყო თუ არა კოლეჯში დამატებითი/არაფორმალური აქტივობების (სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი და სხვა ტიპის ღონისძიებების) წახალისება და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა? 88%-მა უპასუხა, რომ დიახ, 5-მა პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა და 7%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.



კითხვაზე, ღებულობდით თუ არა კოლეჯში ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით? კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ვაკანსიები ქვეყნდებოდა კოლეჯის ვებ-გვერდზე, ფეისბუქის გვერდზე და სტუდენტთა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ცენტრის დახურულ ჯგუფში. ასევე, დასაქმების შესაძლებლობების გაცნობა ხდებოდა ინდივიდუალურად. აღნიშნულ კითხვაზე პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად:



უწევდა თუ არა კოლეჯი ორგანიზებასა და მხარდაჭერას ისეთი ტიპის ღონისძიებებს, რომელიც ხელს უწყობდა ან მომავალში შეუწყობს პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმებას? 84%-მა უპასუხა დიახ, 2%-მა უპასუხა არა და 14%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.



კოლეჯის 225 დასაქმებული კურსდამთავრებულიდან გამოკითხვის მომენტში სპეციალობით დასაქმებულია 150 ანუ 67%, ხოლო 75 ანუ 33% კურსდამთავრებული მუშაობს სხვა სპეციალობით.



იმ 75 კურსდამთავრებულიდან, რომლებიც მუშაობენ სხვა პროფესიით, კითხვაზე რა არის მზეზი, რომ არ მუშაობთ პროფესიით, 56-მა ანუ 75%-მა განაცხადა, რომ ანაზღაურება არ აკმაყოფილებდა, 14 კურსდამთავრებულისთვის, რომელიც შეადგენს 19%-ს, სამსახური იყო საცხოვრებელი ადგილიდან შორს, 6%-ს კი არ აკმაყოფილებდა სამუშაო გრაფიკი.



სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებით, დასაქმებული 225 კურსდამთავრებულიდან 44%-მა განაცხადა, რომ სამსახური დაიწყო კოლეჯის დახმარებით, 25%-მა დამოუკიდებლად. 15%-ს მუშაობის დაწყებაში დაეხმარნენ ნაცნობები, 11%-ს სამსახური შესთავაზეს იქ, სადაც სწავლის დროს გადიოდა პრაქტიკას, ხოლო 5% მუშაობს იმ კომპანიაში, სადაც სწავლობდა დუალური პროგრამის ფარგლებში.



73 უმუშევარი კურსდამთავრებულიდან 41-მა განაცხადა რომ ეძებს სამსახურს ან ელოდება უკეთეს შეთავაზებას. 32-მა განაცხადა, რომ არ ეძებს. მიზეზებს შორის, რის გამოც აღნიშნული კურსდამთავრებულები არ ეძებენ სამსახურს, დასახელდა შემდეგი: 88%-მა განაცხადა, რომ არ მუშაობს ოჯახური პირობების გამო, 6%-მა ჯანმრთელობის პრობლემა დაასახელა, ხოლო 6% აპირებს სწავლის გაგრძელებას სხვა პროფესიაზე.



პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ რატომ ვერ პოულობთ სამსახურს? ამ კითხვაზე გამოკითხული 41 კურსდამთავრებულიდან ყველაზე მეტმა 83%-მა განაცხადა, რომ ელოდება უკეთეს შეთავაზებას, 5 კურსდამთავრებული ანუ 12% ფიქრობს რომ არ აქვს შესაბამისი გამოცდილება და უმუშევრობის მიზეზი სწორედ ეს არის, 2 კურსდამთავრებული ანუ 5% ფიქრობს, რომ არ აქვს გარკვეული უნარები, რაც ხელს უშლის მუშაობის დაწყებაში.



თქვენი აზრით, მთლიანობაში, პროფესიულ სასწავლებელში მიღებული განათლება ხელს უწყობს თუ არა სამუშაოს დაწყებას? კურსდამთავრებულთა 91%-მა უპასუხა, რომ, კოლეჯში მიღებული განათლება, რა თქმა უნდა ხელს უწყობს დასაქმებაში, 7%-მა უპასუხა, რომ ნაწილობრივ და მხოლოდ 2%-მა გასცა უარყოფითი პასუხი.



კოლეჯ „აისში“ ყოველწლიურად ტარდება კურსდამთავრებულთა კვლევა. კვლევის თანახმად, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდებოდა, მაგრამ პანდემიასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, სამწუხაროდ 75%-მდე გამყარებული დასაქმების მაჩვენებელი ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩამოვიდა 67%-ზე. თუმცა მსოფლიოში და ზოგადად ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პანდემიის ფონზე, რამაც სამუშაო ადგილების შემცირება და დროებით შეჩერება გამოიწვია, არც ისე ცუდი მაჩვენებელია.



დასკვნა

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევა კოლეჯ „აისს“ საშუალებას აძლევს გაანალიზონ პროფესიული განათლების ხარისხი და მისი გავლენა პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. კოლეჯ „აისის“ 2021 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი გვიჩვენებს, დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად დუალური სწავლების პროგრამებზე 100%-ია, დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 53% დაქირავებულია, ანუ მუშაობს სხვადასხვა ორგანიზაციესა და საწარმოებში, 47% კი თვითდასაქმებულია.

რესპოდენტთა უმრავლესობას პროფესიული განათლების მიმართ ჰქონდა დადებითი შეხედულება და კოლეჯ „აისში“ სწავლის შემდეგ მათი ეს მოლოდინები გამართლდა, რადგან მათი აზრით, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა და პროფესიისთვის საჭირო რესურსები იძლევა ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კმაყოფილია მიღებული პროფესიული განათლებით და საკმაოდ დადებითად აფასებს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

2021 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელზე გავლენა იქონია საქართველოში და ზოგადად მთელს მსოფლიოში COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ, რომელმაც ზოგადად მოიტანა სამუშაო ადგილების არა მარტო შემცირება, არამედ ზოგ შემთხვევაში გაუქმება და რიგ შემთხვევებში კი სრულიად შეიცვალა შრომის ბაზრის მოთხოვნა. ადამიანების ნაწილი გადაეწყო ახალ სამუშაო გარემოზე და ნაწილს გაუჭირდა ახალ რეალობასთან მორგება. პროფესიული განათლება სწორედ ის არის, რომელსაც შეუძლია მყისიერი რეაგირება მოახდინოს და დროულად დანერგოს ახალი პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების მაჩვენებლის დადებით ცვლილებას სამომავლოდ.